ა(ა)იპ ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანების

2023 წლის

გაწეული მუშაობის შესახებ.

ა(ა)იპ ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება არის ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემაში შემავალი ადგილობრივ კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო ინფორმაციული დაწესებულება. საბიბლიოთეკო გაერთიანება თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 29 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ". ბიბლიოთეკის სივრცე ცოცხალი კომუნიკაციის საზოგადოებრივი თავშეყრის, კულტურის,ინფორმაციისა და განათლების ადგილია. საბიბლიოთეკო გაერთიანებას აქვს ლოგო, ფეის გვერდი და ვებ გვერდი;

https://www.facebook.com/Poti.library2022
https://pal.ge/?fbclid=IwAR0xLwbhPTo8kElu_NaStf-zZYLGDiBjKryHFh5HQSbCCYiInjOOJ-ZkBxI XXI საუკუნეში მსოფლიო სრულად ახალ რელსებზეა გადაწყობილი,დღეს ტრადიციული მედიისა და წიგნის როლი სულ უფრო იკლებს და წინა პლანზე სოციალური მედიის უსაზღვრო შესაძლებლობებია,ინფორმაციის ფართო ნაკადით.სულ უფრო მეტად ინფორმირებული თაობა იზრდება, ტექნოლოგიების მასიური ცოდნა დღეს ჩვეულებრივი პროცესია.

თანამედროვე ბიბლიოთეკა წარმოუდგენელია უახლოესი ტექნოლოგიების მხარდაჭერის გარეშე. საბიბლიოთეკო გაერთიანების სისტემა არის ის სივრცე, სადაც მკითხველს შეუძლია კომფორტულ გარემოში ისარგებლოს ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებული სერვისებით. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ მკითხველისადმი თანამედროვე სერვისების შემოთავაზებამ ბიბლიოთეკა საინფორმაციო და მულტფუნქციურ ცენტრად აქცია. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს კომპიუტერული მომსახურეობისა და უცხო ენის კაბინეტები, ,ბავშთა ოთახი,უნარშეზღუდულთა და პენსიონერთა ოთახი,ახალგაზრდა შემოქმედთა და წიგნის მოყვარულთა კლუბი,ლიტერატურული სალონი ..გულის სამელნე" ,მინი ბავშთა თეატრი, კინოსახელოსნო ,,სინემა" პარალელურად მუშაობს ვიდეო პროექტები: ,,ეს ჩემგან", ,,მახსოვს",კინოპოეზია",,,მოგონებები გარდასულ დღეთა",,ლიტერატურული კრიალოსანი", ,,ლიტერატურული კალენდარი", ,,იქ სადაც წიგნებია",ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკისათვის.

საბიბლიოთეკო გაერთიანების წიგნადი ფონდი უნივერსალურია და შეიცავს ქალაქის სპეციფიკის შესაფერის ლიტერატურას.

სულ სისტემაში 143014 ეგზ.წიგნია.

საბიბლიოთეკო გაერთიანება მოემსახურა 1785 მკითხველს. ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და ბიბლიოთეკა ფილიალებში ხორციელდება პროექტი ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა ,,ღია ბიბლიოთეკა"ბიბლიოთეკაში დაინერგა კომპიუტერული პროგრამა. ამ პროგრამის ფარგლებში ხდება

ელექტრონული კატალოგის წარმოება-წიგნების შეყვანა.დღეისათვის შეყვანილია 48.565 წიგნი. სხვადასხვა ფონდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთ თანამშრომლობით გაიზარდა წიგნადი ფონდი. არველაძეების ფონდმა საჩუქრად გადმოგვცა ვაუჩერი 900 ლარის. არასამთავრობო ორგანიზაცია ..შ-ფოთი“-მა 393 ეგზ.წიგნი, თანამედროვე ტექნიკადა ავეჯი.

ბიბლიოთეკის მუშაობაში ერთ-ერთი მიმართულებათაგანია ბავშთა საბიბლიოთეკო მომსახურეობა. ამ კატეგორიის მკითხველთა საბიბლიოთეკო მომსახურეობას უზრუნველყოფს ნიკო ნიკოლაძის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკა, №2 და №3 ბიბლიოთეკა ფილიალები,ცენტრალური ბიბლიოთეკა ქმედით დახმარებას უწევს

აბიტურიენტებს,სტუდენტებს უწყვეტი სწავლების მიღებაში. ადგილობრივი მომსახურეობის გარდა ამ პროცესში წარმატებით იყენებენ დისტანციურ სწავლების მეთოდებს. საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების განვითარებამ თვითოეულ მკითხველს მისცა ინფორმაციის დიდი რაოდენობით მიღების საშუალება. ბიბლიოთეკაში ძირეულად შეიცვალა ინფორმაციის მოპოვების, მიღების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები, ისევე როგორც მასზე ხელმისაწვდომობის საშუალებები.

ბიბლიოთეკამ 2023 წელს ჩაატარა 135 ღონისძიება და აქტივობა. დამსწრეთა რაოდენობა 3500 .

ღონისძიების ციფრობრივი მონაცემებია:

წიგნის პრეზენტაცია - 15

წიგნის განხილვა - 7

მუსიკალურ ლიტერატურული კომპოზიცია -17

პოეზიის საღამო - 14

შეხვედრა მწერლეთან და პოეტებთან - 13

შეხვედრა გამოჩენილ ადამიანებთან - 34

ლექცია - 10

განხორციელებული პროექტები - 15

საბიბლიოთეკო პროგრამები - 10

აქტიურია ბიბლიოთეკების სოციალური გვერდი,სადაც ცხადდება ონლაინ შეხვედრები, ლექციები,დისკუსიები, კინო პროექტები.. ამით გაიზარდა ბიბლიოთეკის სოციალური ქსელის მომხმარებელთა და გამომწერთა რაოდენობა.

ბიბლიოთეკა არის ცოდნის საცავი,სადაც შესაძლებელია ინფორმაციის შენახვა დაცვა და გაზიარება, რადგან დღესდღეობით მას აქვს მულტიფუნქციური ცენტრის დატვირთვაც, აქედან გამომდინარე მისი შენობები უნდა პასუხობდეს საჭირო სტანდარტებს.

2023 წელს ადგილობრივი ორგანოების დახმარებით ჩატარდა 36.378 ლარის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები .ბიბლიოთეკის შიდა სივრცის კეთილმოწყობისა და გაუმჯობესებისათვის,ცენტრალურ ბიბლიოთეკაში განახლდა წიგნის საგამოფენო და ახალგაზრდული საბჭოს ოთახები, გაიჭრა ბიბლიოთეკის გარეთა გასასვლელი კარი, გაკეთდა კიბე. არტ-სივრცეში მოეწყო სველი წერტილი,მკითხველის მოსასვენებელ (სამზარეულო) ოთახში დაიგო იატაკზე მეტლახი.

დღეს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მშვიდ,მეგობრულ გარემოს სწავლისა და სამეცნიერო საქმიანობისათვის. ვინაიდან მხოლოდ ეს გარემო განაპირობებს ბიბლიოთეკის მომხმარებლებისა და მკითხველების სიმრავლეს, ჩვენ ვქმნით იმიჯს, მიგვაქვს ის მიზნობრივ სეგმენტებთან და ვზრდით ცნობადობას, რის შედეგადაც ვაყალიბებთ მყარ,ხანგრძლივ და საიმედო რეპუტაციას.დადებითი რეპუტაცია კი ორგანიზაციის ცნობადობას და მის იმიჯს ამაღლებს.